სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/346

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2019

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2019 წლის ___ ნოემბრის № _____ ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესი (თან ერთვის).
2. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის განთავსება ვებგვერდზე.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის № 01-05-04/02 დადგენილების „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ პირველი პუნქტი.
4. დადგენილება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 21 ნოემბრის
№ 01-05-04/346 დადგენილების

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის)
განხილვისა და დამტკიცების წესი

1. სასწავლო კურსის პროგრამის/სილაბუსის (შემდგომში, სილაბუსი) ავტორი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი (მათ შორის, მოწვეული), აგრეთვე, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

2. სილაბუსს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ავტორი. სილაბუსს რამდენიმე ავტორი ჰყავს იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსი/საგანი არის ე. წ. „ინტერდისციპლინური“ ანუ წარმოადგენს განსხვავებული სფეროების სინთეზს.

3. სილაბუსის პროექტის შემუშავების/შედგენის პროცესში მონაწილე პირები ხელმძღვანელობენ საქართველოს არსებული კანონმდებლობით, შესაბამისი დებულებებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, ამ წესით, სხვა მოქმედი წესებით, ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით.

4. სილაბუსი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დადგენილი ფორმით. აუცილებელია ფორმაში მოცემული ყველა პუნქტის შევსება.

5. სილაბუსის მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევენ: ფაკულტეტის დონეზე – დეკანატი, შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი/ დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საუნივერსიტეტო დონეზე – უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების დეპარტამენტი.

6. სილაბუსი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და შესაბამისი კრიტერიუმების შესახებ.

7. სილაბუსის ავტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს სილაბუსის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, აგრეთვე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სილაბუსში შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია ან თითოეული პუნქტის შინაარსთან დაკავშირებული მოკლე განმარტებები.

8. ავტორი სილაბუსის პროექტს წარადგენს შესაბამისი აკადემიური დეპატამენტის სხდომაზე. სხდომაზე განიხილება სილაბუსის შემუშავების მიზანშეწონილობა და შინაარსობრივი მხარე, აგრეთვე, განისაზღვრება განათლების სფერო და ქვესფერო

სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის თანახმად. დეპარტამენტის სხდომას უნდა დაესწროს სილაბუსის ავტორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

9. დეპარტამენტის სხდომაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დეპარტამენტის სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე უნდა აცნობოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

10. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსი/საგანი წარმოადგენს განსხვავებული სფეროების სინთეზს, პროგრამის პროექტის განხილვა ხდება შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე. თუ აღნიშნული დეპარტამენტები არიან სხვა და სხვა ფაკულტეტების დაქვემდებარებაში, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეთანხმების საფუძველზე, განისაზღვრება წამყვანი ფაკულტეტი.

11. დეპარტამენტის სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს სილაბუსის პროექტის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.

12. სილაბუსის პროექტს ხელს აწერენ ავტორი/ავტორები და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. ამით ისინი ადასტურებენ, რომ სილაბუსი შედგენილია დადგენილი მოთხოვნების თანახმად, მათ შორის, უზრუნველყოფილია თანამედროვე ლიტერატურით. სილაბუსის პროექტს ხელს აწერს, აგრეთვე, აკადემიური დეპარტამენტ(ებ)ის უფროს(ებ)ი, აღნიშნული პროექტის განხილვის შედეგების საფუძველზე.

13. ზემოთ აღნიშნული წესით შედგენილი სილაბუსის პროექტს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად. სხდომას ესწრება დეპარტამენტის უფროსი და სილაბუსის პროექტის ავტორი.

14. სილაბუსი ძალაში შედის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღიდან თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ არის მითითებული.

15. ფაკულტეტის საბჭოზე სილაბუსის დამტკიცების შემდეგ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სილაბუსის, აგრეთვე, ფაკულტეტის საბჭოს და დეპარტამენტის სხდომების ოქმებიდან ამონაწერების ელექტრონულ ვერსიას (Word-ის ფაილი), უგზავნის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სილაბუსს ენიჭება კოდი და განთავსდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კურსების საინფორმაციო-საძიებო ბაზაში დადგენილი წესის შესაბამისად. შემდეგ, სილაბუსი, ასევე ელექტრონულად, ეგზავნება ფაკულტეტს.

16. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული და ხელმოწერილი სილაბუსის ერთი ეგზემპლარი (დედანი) გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო სილაბუსის დედანის მეორე ეგზემპლარი რჩება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. შემდგომში გამოიყენება სილაბუსის ასლები.
17. დამტკიცებულ სილაბუსში ცვლილებების ინიცირება (სილაბუსის მოდიფიცირება) ხდება სილაბუსის ავტორის/ავტორების მიერ. სილაბუსში ცვლილება შედის წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების თანახმად. მოდიფიცირებული სილაბუსის დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული როდის შედის იგი ძალაში. სილაბუსის მოდიფიცირებული ვარიანტის ძალაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ არაუადრეს ცვლილებების შეტანის თარიღის მომდევნო სემესტრის დასაწყისიდან.
18. სილაბუსის მოდიფიცირების შემთხვევაში დეპარტამენტის შესაბამისი სხდომის ოქმში უნდა იყოს აღნიშნული მოდიფიცირების მიზეზი და საფუძველი, აგრეთვე, კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა არსებულ სილაბუსში.